

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070208

ქვეპროგრამის დასახელება:

სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	457 300
სულ ბიუჯეტი:	457 300

ქვეპროგრამის მიზანი:

სქოლიოზით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის რეაბილიტაციის კურსების მიწოდება

ქვეპროგრამის აღწერა:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 2012 წელს ახორციელებდა სამიზნე ჯგუფში (საბავშვო ბაღების აღსაზრდელები და საჯარო სკოლების 1-8 კლასების მოსწავლეები) მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენის ქვეპროგრამას. 34 574 გამოკვლეულიდან 3000-მდე ბავშვს გამოუვლინდა სქოლიოზი. ამ ბავშვების დაახლოებით 85%-ს ესაჭიროება სარეაბილიტაციო მკურნალობა.

ქვეპროგრამა განხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება (1 კურსი - 20 დღე) მოიცავს ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციას, რენტგენოლოგიურ გამოკვლევას, სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას, მომსახურების ღირებულება შეადგენს 178 ლარს. ქვეპროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვაუჩერის გაცემის მომენტში.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. ბენეფიციარები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება კომპონენტის ფარგლებში;
3. მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს რეაბილიტაციის კურსის აუცილებლობა;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;
- მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში).

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
რეაბილიტაციის კურსების ჩატარება		2 569	178	457 300
რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები	სარეკომენდაციო რაოდენობა			
ექიმ-სპეციალისტის (ორთოპედის) კონსულტაცია	2			
რენტგენოლოგიური გამოკვლევა	1			
ფიზიკური თერაპია, ვარჯიში	20			
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				457 300

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X			
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	2569	სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	სოციალური დაცვის დეპარტამენტი	სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების შესწავლა

